82.092 [ეროვ]
ბ-921

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნანა გურამის ასული გუბელაძე

ავტორი, მთხრობელი და თხრობის პერსპექტივები უილიამ ფოლკნერის რომანებში („ხმაური და მძვინვარება“, „აბვისტოს ნათელი“, „აბესალომ, აბესალომ!“)

10.01.05 – ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ქუთაისი
2005

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნანა გურამის ასული გუბელაძე

ავტორი, მთხრობელი და თხრობის პერსპექტივები უილიამ ფოლკნერის რომანებში („ხმაური და მძვინვარება“, „აბვისტოს ნათელი“, „აბესალომ, აბესალომ!“)

10.01.05 — ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. Н. Чавчавадзе

- 2054 -

ქუთაისი
2005

ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ემთერ თოფურიძე

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ზაზა გაჩეჩილაძე

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
მანანა გელაშვილი

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის «10» «02» 2 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-საკვალიფიკაციო საბჭოს (P. 10. 06. №8) სხდომაზე.

მისამართი: 0100, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 36.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
მისამართი: 0100, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის «10» 01.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი /რ. ციხითათრიშვილი/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

უ. ფოლკნერი უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივი შემოქმედია. მისი რომანების სირთულესა და პოეტიკის თავისებურებას, უწინარეს ყოვლისა, თხრობის სტრუქტურის ფრაგმენტული ხასიათი, თხრობის პერსპექტივების მონაცვლეობა, არათანმიმდევრული, დაშლილი და დანაწევრებული სიუჟეტური კომპოზიცია განსაზღვრავს. ამდენად, ბუნებრივია, რომ თითქმის ვერც ერთი მკვლევარი, უ. ფოლკნერის რომანების პოეტიკის რომელ ასპექტსაც უნდა იკვლევდეს იგი, გვერდს ვერ უვლის თხრობის სტრუქტურის, სიუჟეტური კომპოზიციისა თუ ავტორის პოზიციის გამოხატვის ფორმების ანალიზს მის რომანებში.

მკვლევართა ერთი ჯგუფი: (ჯ. ვიკერი, მ. კაული, ჯ. საიქსი) იკვლევს უ. ფოლკნერის რომელიმე ცალკეული რომანის თხრობის სტრუქტურის ამა თუ იმ თავისებურებას, მაგრამ მათი შრომების მთავარი მიზანი არ არის ფოლკნერის რომანებში: „ხმაური და მძვინვარება", „აგვისტოს ნათელი", „აბესალომ, აბესალომ!" მთხრობელთა ფუნქციებისა და ავტორის პოზიციის გამოხატვის ფორმების, თხრობის პერსპექტივების კომპლექსური ანალიზი - ეს მათი მრავალწახნაგოვანი კვლევის მხოლოდ ერთი ასპექტია. ცხადია, ეს მონოგრაფიები ვერ მოიცავს საკვლევი პრობლემის ყველა ნიუანსს.

მკლევართა მეორე ნაწილი (ე. თოფურიძე, კ. ბრუკსი, ე. ვოლპე, მ. მილგეიტი) ზოგადად იკვლევს ფოლკნერის რომანების პოეტიკას და ცდილობს შეისწავლოს ის ფაქტორები, რომლებიც ამ პოეტიკის სპეციფიკას განსაზღვრავს.

მკვლევართა მესამე ჯგუფი (მ. ქრეიზვირთი, მ. ჩეჩი, გარეტი, ა. კინი, მ. ლანდორნი) იკვლევს თხრობის სტრუქტურას უ. ფოლკნერის ამა თუ იმ ცალკეულ რომანში, მაგრამ ამ მკვლევარების შრომებში ავტორის პოზიცია, მთხრობელთა ფუნქცია და თხრობის პერსპექტივები ერთდროულად უ. ფოლკნერის რომანებში „ხმაური და მძვინვარება", „აგვისტოს ნათელი", „აბესალომ, აბესალომ!" არ ქცეულა მეცნიერული კვლევის საგნად.

უ. ფოლკნერის შემოქმედების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ ავტორის პოზიცია, მთხრობელი და თხრობის პერსპექტივები უ. ფოლკნერის რომანებში „ხმაური და მძვინვარება", „აგვისტოს ნათელი", „აბესალომ, აბესალომ!" არ ქცეულა მონოგ-